ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 2-12/124

ქ. თბილისი
02.12.2010წ.

ერთის მხრივ **შპს „საგზაო ტექნიკა"** (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით და **შპს „ავტოტესტ გეორგია"** (შემდგომში „შემსრულებელი") მისი დირექტორის ვაჟა იორდანიშვილის სახით, მეორეს მხრივ შევთანხმდით და დავდთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას განახორციელოს „შემსყიდველის" საკუთრებაში არსებული ორი ერთეული კომბინირებული საგზაო მანქანის მოდელი KDM, სახელმწიფო ნომერი: KET 861 და NYC 658-ის ავტო ტესტირება.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.2. „შემსრულებელი" ვალდებულია:

განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და მოცულობით;

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ერთი ერთეული მანქანის ღირებულება შეადგენს 97(ოთხმოცდაჩვიდმეტი)ლარის დღგ-ს ჩათვლით.
3.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 194 (ასოთხმოცდათოთხმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
3.2. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღო ანგარიშსწორებით ლარებში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.2.ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებიტ, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.4. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საგზაო ტექნიკის" მექანიზაციის სამსახურის უფროსი დავით ბასილია.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენა.
5.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6. სადაო საკითხების გადაწყვეტა

6.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზღისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაა 10(ათი) სამუშაო დღე.

8.3. ხელშეკრულება იდება 10 (ათი) დღის ვადით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემყიდველი"	*"შემსრულებელი"*
შპს "საგზაო ტექნიკა"	**შპს "ავტოტესტ გეორგია"**
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71 ს/კ: 205140257 ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" - მარჯანიშვილის ფილიალი კოდი: 220101850 ა/ა: 360200175	მისამართი: ქ. თბილისი, რიგის 3/43,ბ ს/კ: 204903747 ბანკი: კოდი: ა/ა:
გიორგი როგავა _____	ვაჟა იორდანიშვილი _____